1056

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 010101/10/3-3

ქ. თბილისი 5 იანვარი, 2012 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის ლ. კოზმავას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ტოიოტა ცენტრი თბილისი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის ი. გურჩიანის, სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციისათვის, ქ. თბილისის მერიის ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული ავტომანქანის (ტოიოტა PRADO-120 - 4.0) ტექნიკური მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

1.2 გასაწევი მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების სრული აღწერა თან ერთვის ხელშეკრულებას და წამოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართი №1).

1.3 კლასიფიკატორის კოდი: 50112000.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 8000 (რვა ათასი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დღგ და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

4.3 მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია - ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ქალაქგაფორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის უფროსი ვალერი დადიანიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე

6.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მერია
მის: ქ. თბილისი,
შარტავას ქ. №7
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE95LB0125152101627000
ს/კოდი: 204521794

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

ლ. კოზმავა

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ტოიოტა ცენტრი თბილისი"
მის: ქ. თბილისი,
დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-20 კმ.
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAE22
ა/ა№GE83BG0000000121227200
ს/კოდი: 211346220

შ.პ.ს. „ტოიოტა ცენტრი თბილისი"-ს დირექტორი

ი. გურჩიანი

გასაწევი მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების სრული აღწერა

#	მომსახურების დასახელება		ღირებულება (ლარი)
1	ამბლიცოვკა	მოხსნა/დაყენება	15
2	გასაღები	ინსტალაცია	120
3	დინამო	მოხსნა/დაყენება	160
4	დიფუზორი	მოხსნა/დაყენება	50
5	ზედა გიტარა	მოხსნა/დაყენება	60
6	ზედა გიტარის ვტულკა	მოხსნა/დაყენება	60
7	ზეთის ფილტრი	მოხსნა/დაყენება	15
8	თერმოსტატი	მოხსნა/დაყენება	60
9	კაპოტი	მოხსნა/დაყენება	25
10	კაპოტის პეტლი	მოხსნა/დაყენება	60
11	კონდიციონერის რადიატორი	მოხსნა/დაყენება	50
12	კონდიციონერის ფილტრი	მოხსნა/დაყენება	15
13	მარცხენა სარკე	მოხსნა/დაყენება	35
14	მარჯვენა სარკე	მოხსნა/დაყენება	35
15	მაყუჩი (კომპ)	მოხსნა/დაყენება	360
16	მაყუჩის ბალიში	მოხსნა/დაყენება	15
17	ნაკანეჩნიკი	მოხსნა/დაყენება	25
18	პროპელერი	მოხსნა/დაყენება	50
19	საბარგულის მინა	მოხსნა/დაყენება	240
20	საბარგულის ფარი	მოხსნა/დაყენება	15
21	სანთელი	მოხსნა/დაყენება	50
22	საწვავის ფილტრი	მოხსნა/დაყენება	60
23	საჭის სპირალი	მოხსნა/დაყენება	25
24	სტარტერი	მოხსნა/დაყენება	120
25	სტუპიცის სალნიკი	მოხსნა/დაყენება	70
26	უდარნი ნაკანეჩნიკი	მოხსნა/დაყენება	25
27	უკანა ამორტიზატორი	მოხსნა/დაყენება	50
28	უკანა ბამპერი	მოხსნა/დაყენება	60
29	უკანა ბამპერის სალასკა	მოხსნა/დაყენება	25
30	უკანა ბრეზგავიკი	მოხსნა/დაყენება	15
31	უკანა განივი შტანგა	მოხსნა/დაყენება	15
32	უკანა გრძელი შტანგა	მოხსნა/დაყენება	15
33	უკანა კარდანი	მოხსნა/დაყენება	25
34	უკანა კარი	მოხსნა/დაყენება	60
35	უკანა კარის მინა	მოხსნა/დაყენება	35
36	უკანა კარის პატარა მინა	მოხსნა/დაყენება	35
37	უკანა ლინკის რეზინი	მოხსნა/დაყენება	50
38	უკანა მოკლე შტანგა	მოხსნა/დაყენება	15
39	უკანა მშრალი ამორტიზატორის ლინკა	მოხსნა/დაყენება	60
40	უკანა მშრალი ამორტიზატორის რეზინი	მოხსნა/დაყენება	25
41	უკანა პოლუოსი	მოხსნა/დაყენება	70
42	უკანა სამუხრუჭე შლანგი	მოხსნა/დაყენება	15
43	უკანა საყრდენი დისკი	მოხსნა/დაყენება	50
44	უკანა სტუპიცა	მოხსნა/დაყენება	70
45	უკანა ფარი	მოხსნა/დაყენება	15

46	უკანა ფრთის მარცხენა მინა	მოხსნა/დაყენება	120
47	უკანა ფრთის მარჯვენა მინა	მოხსნა/დაყენება	120
48	უკანა ჩულოკი	მოხსნა/დაყენება	480
49	უკანა ხიდი	მოხსნა/დაყენება	250
50	უკანა ხუნდები	მოხსნა/დაყენება	25
51	ქვედა გიტარა	მოხსნა/დაყენება	60
52	ქვედა გიტარის ვტულკა #1	მოხსნა/დაყენება	60
53	ქვედა გიტარის ვტულკა #2	მოხსნა/დაყენება	60
54	ღვედი	მოხსნა/დაყენება	50
55	ღვედის დამჭიმი	მოხსნა/დაყენება	25
56	ყუმბარის პილნიკი	მოხსნა/დაყენება	70
57	ცაბკა	მოხსნა/დაყენება	70
58	ძრავის უკანა სალნიკი	მოხსნა/დაყენება	250
59	ძრავის წინა სალნიკი	მოხსნა/დაყენება	160
60	წინა ამორტიზატორი	მოხსნა/დაყენება	50
61	წინა ამორტიზატორის ჩაშკა	მოხსნა/დაყენება	50
62	წინა ბამპერი	მოხსნა/დაყენება	60
63	წინა ბამპერის სალასკა	მოხსნა/დაყენება	25
64	წინა ბრეზგავიკი	მოხსნა/დაყენება	15
65	წინა კარდანი	მოხსნა/დაყენება	25
66	წინა კარი	მოხსნა/დაყენება	60
67	წინა კარის მინა	მოხსნა/დაყენება	35
68	წინა მშრალი ამორტიზატორის ლინკა	მოხსნა/დაყენება	60
69	წინა მშრალი ამორტიზატორის რეზინი	მოხსნა/დაყენებ.	25
70	წინა პადკრილნიკი	მოხსნა/დაყენება	25
71	წინა სამუხრუჭე შლანგი	მოხსნა/დაყენება	15
72	წინა საქარე მინა	მოხსნა/დაყენება	240
73	წინა სტუპიცა	მოხსნა/დაყენება	70
74	წინა სტუპიცის საკისარი	მოხსნა/დაყენება	70
75	წინა ფარი	მოხსნა/დაყენება	15
76	წინა ფრთა	მოხსნა/დაყენება	60
77	წინა ყუმბარა	მოხსნა/დაყენება	70
78	წინა ხიდი	მოხსნა/დაყენება	250
79	წინა ხუნდები	მოხსნა/დაყენება	25
80	წყლის ავზი	მოხსნა/დაყენება	60
81	წყლის პომპა	მოხსნა/დაყენება	120
82	წყლის რადიატორი	მოხსნა/დაყენება	50
83	ხელის მუხრუჭის ხუნდები (კომპ)	მოხსნა/დაყენება	35
84	ჯვარედინა	მოხსნა/დაყენება	30
85	ჰიდრავლიკის პომპა	მოხსნა/დაყენება	70
86	ჰიდრავლიკის რემკომპლექტი	მოხსნა/დაყენება	70
87	დროსელის გაწმენდა	მოხსნა/დაყენება	60
88	ფარსუნკის გაწმენდა	მოხსნა/დაყენება	120
89	საბ.შეკეთება	მოხსნა/დაყენება	10
90	სავალი ნაწილის	შეზეთვა	15
91	სავალი ნაწილის	შემოწმება	25
92	წინა საყრდენი დისკი	გაჩარხვა	50
93	უკანა საყრდენი დისკი	გაჩარხვა	50
94	საბურავის დაშლა/აწყობა/ბალ.		12

95	საბურავი	ბალანსირება	6
96	საბურავის ბოლტის	მოხსნა/დაყენება	15
97	ელ.შეკეთება	სირთულით	30–150
98	ნათურის	შეცვლა	15
99	რაზვალი	გასწორება	30
100	ფრეონი	დამატება	25
101	კომპიუტერული დიაგნოსტიკა	სირთულით	30–100
102	ტორპედო	დაშლა/აწყობა	480
103	სტუპიცის რეგულირება/მორგვი/	მოხსნა/დაყენება	25
104	სუპორტი	მოხსნა/დაყენება	25
105	სუპორტის ბოლტის გაჩარხვა	მოხსნა/დაყენება	25
106	ძრავი	შემოწმება	25
107	კარის ჩამკეტი	აღდგენა–შეკეთება	50
108	ხელის მუხრუჭი	რეგულირება	25
109	დიფლოკი	შეკეთება	150–300
110	გამათბობელი ფეჩი	შეკეთება	50–100
111	საჭის პილნიკი	შეცვლა	35
112	საბარგულის კარის საკეტი	შეკეთება	30–120

№	სათადარიგო ნაწილი	განზ.	ერთეულის ფასი (ლარი)
1	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომპ	200
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომპ	150
3	ზედა გიტარა	ცალი	850
4	ქვედა გიტარა	ცალი	950
5	წინა მორგვის საკისარი	ცალი	300
6	მარჯვენა ყუმბარა	ცალი	1400
7	მარცხენა ყუმბარა	ცალი	1400
8	წინა ამორტიზატორი	ცალი	600
9	უკანა ამორტიზატორი	ცალი	880
10	წინა ამორტიზაციის ბალიში (ჩაშკა)	ცალი	150
11	კაპოტის ამორტიზატორი	ცალი	250
12	ჯვარედინა (კრესტავინა)	ცალი	130
13	წყლის გამაგრილებელი ავზი (რადიატორი)	ცალი	2500
14	კონდენციონერის გამაგრილებელი ავზი	ცალი	1400
15	კონდენციონერის კომპრესორი	ცალი	2000
16	უკანა კარდანი	ცალი	1800
17	წინა კარდანი	ცალი	1300
18	წინა საყრდენი დისკი	ცალი	480
19	წევის დაბოლოება ბუნიკი (ნაკანეჩნიკი)	ცალი	300
20	მშრალი ამორტიზატორი	ცალი	520
21	წინა ზამბარა	ცალი	320
22	უკანა ზამბარა	ცალი	350
23	ძრავქვეშა ბალიში	ცალი	220
24	ზეთის ფილტრი	ცალი	35
25	ჰაერის ფილტრი	ცალი	80
26	კონდენციონერის ფილტრი	ცალი	130
27	საწვავის ფილტრი	ცალი	100

28	ანთების სანთელი	ცალი	50
29	სანთლის ჩიბუხი	ცალი	270
30	თერმოსტატი	ცალი	60
31	ძრავის წინა ჩობალი	ცალი	30
32	ძრავის უკანა ჩობალი	ცალი	90
33	გენერატორი	ცალი	2300
34	გენერატორის ღვედი	ცალი	350
35	წყლის ტუმბო	ცალი	330
36	საწვავის ტუმბო	ცალი	800
37	საჭის გამაძლიერებელის ტუმბო	ცალი	1700
38	უკანა საქარე მინა	ცალი	850
39	წინა საქარე მინა	ცალი	1300
40	ამძრავი (სტარტერი)	ცალი	1400
41	ფეჩის გამაგრილებელი ავზი	ცალი	1000
42	წინა ფარი	ცალი	650
43	უკანა ფარი	ცალი	300
44	სტერჟინი	ცალი	180
45	ჰიდრავლიკური ქურო (გიდრომუფტა)	ცალი	460
46	წინა ბამპერი	ცალი	600
47	უკანა ბამპერი	ცალი	600
48	მარცხენა გვერდითი სარკე	ცალი	800
49	მარჯვენა გვერდითი სარკე	ცალი	800
50	რადიატორის წყლის გადამწოდი	ცალი	120
51	საჭის გასაღები	ცალი	600
52	საჭის მექანიზმი	ცალი	3500

ქ. თბილისის მერიის
ადმინისტრაციის უფროსი

ლ. კოზმავა

შ.პ.ს. „ტოიოტა ცენტრი თბილისი"-ს
დირექტორი

ი. გურჩიანი

შეთანხმებულია:

ა. თაბუაშვილთან

ვ. გვათუასთან

ვ. დადიანიძესთან

1056

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 5 იანვარი, 2012 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციისათვის, ქ. თბილისის მერიის ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული ავტომანქანის (ტოიოტა PRADO-120 - 4.0) ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

ლუბა კოსმავა -

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი

ალექსი თაბუაშვილი -

ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ვალერიან გვათუა -

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ქალაქგაფორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფი სამსახურის უფროსი

ვალერი დადიანიძე -